

იშლინ იმეჯინსონ

# „დედაკაცმა აგვრია!“

სცენები სოფლის ცხოვრებიდან

ერთ მოქმედებათ

დ. ნახუცრიშვილისა

---

ვუძღვნი გიორგი ივანეს ძეს ნ—შვილს

---

## მომქმედნი ზიარნი:

დედაგაბრიელ

ტაბაკა, იმისი სიძე

ჯაფარიძე

ბრმა გიორგი ქვის მტვრეველი

ბერძენა, კალატოზი,

თანდილა, გუთნის დედა

გიგოლა, სოფლის „პატროსანი კაცი“

ხიდუკა

მამასახლისი

სამი მოსამართლე

გზირი

უსიტყუო დამსწრენი



მომქმედება სწარმოებს სოფლის სასამართლოში.



„დედაკაცმა აგერია!“

სცენები სოფლის ცხოვრებიდან. სასამართლოში

გამოსვლა პირველი

ერთი მოსამართლე, მწევრადი და მესამე მოსამართლე  
შემოდის

მესამე მოსამ. ეჰე, ეს კაი ამბავია! ბეჭდი ფული გაჩნდა... მაგრამ შენ ისა თქვი, კაცო, თუ ის საქმე სახიფათო არ იქნება!

მეორე მოსამ. აცა-დაიცა, კაცო, რა საქმეა, ან რათ იქნება სახიფათო?

პირ. მოსამ. მაგიჰთანა მონადირითვი ღუდგულის თოფიც ძნელი მოსახმარია, აი რათ იქნება სახიფათო. მაგას ყველაფრისა ეშინიან, რა ვიცო! როცა ხელი უნდა მოაწეროს გადაწყვეტილებას, ასე გონია საციმბირით ვაწერ ხელსაო.

მწევრადი. მერე მაგან რო ხელის მოწერა იცის!

პირ. მოს. კაი თივის საგლეჯებს აკეთებს ხოლმე, რათ უკაჟინებ? ისე დაგიწერს, რომ თითონაც ველარ არჩევს ხოლმე. ზოგი წილკავსა ჰგავს, ზოგი გუთანს, ზოგი კიპორჩხალას... ზოგიც... ხა, ხა, ხა!..

მეს.—წადი, ერთი დაიკარგე... შვილოხა, შენ მაინც გჯობივარ, შენ წერა სუ არ იცი და!..

პირ. მაგისთანა ცოდნას, ისევ არ ვიცოდე ისა

ჰჯობია. სახელი და გვარის მოწერის მეტი ხომ არ იცი? კაი ბიჭი ხარ და სხვა სიტყვას დაჰწერ... აბა დაწერე, დაწერე რაღა... ახტი გადახტი... გამოვიდა ესეც მწავლული!..

მეორე. აცა დაიცა, კაცო, კარგი ერთი, რა საქმეთ გაიხადე მაგი წერა.

ზანგ. შენმა მზემ, ერთი შენა ხარ კიდევ მაგაზედ მწავლული! ორიოდე ანაბანა იცით და გინდა დაიკვეხოთ რაღა! მეცათ, მეცათ... შორიდან ქუდი მოუხადეთ, მეცნიერები და მწავლულები მობძანდებიან! მე თუ წერა არ ვიცი, თქვენი თავი მზემ, თქვენზე ნაკლები ბიჭი ვარ, აი!

მწერ. კარგი, კაცო, ძალიან ბიჭი ხარ, ძალიან... ისეთი რო შენი ბადალი დუნიაზედ არ იქნება...

ზანგ. მაგათ კი გული გაუსიე, ყურები ჩამოვაცრევიანე და რა გინდა! აბა, ერთი შაჰხედე როგორ ჩამოუშვეს ჩიხვირი... გეყოფათ, თქვე საწყლებო, ახლა ხმა ამოიღეთ!...

მეორე. დაიკარგე იქითა! შენ კიდევ, აცა დაიცა, ეგეთი უთავბოლო ყბედობა იცი...

ზანგ. შენ, ისევ შენ პარახოტს შაუკეთე და დროება გაატარე, რა უყავი ი ტარმოსატეხი... რა შენი საქმეა ლაპარაკი, შენ უნდა მყუდროზედ იწვე სადმე, ხან ერთი მხარე მიუშვირო მზეს მაგ შენი ღიბისა, ხან მეორე...

მეორე. ჩუმათ ეგდე, აცა დაიცა, თორე!..

ზანგ. აცა დაიცა და შენი საქათმე დაიქცა, თუ კარგია!

მეს. მართლა, რა ენათ იქცა ე ოჯახდაქცეული; შე ნამუს გაწყვეტილო, მე შენ სასიკეთოს გეუბნებოდი

და შენკი აქ რაღაცეები დაიწყე... დადექ, კარგი, ხმა აღარ ამოიღო, შენი რჯულიც დაიქცა, ყური დამიგდე, რასაც გეუბნები, თორე...

ზინჯ. აბა, ჰა, კარგი კი თქვი რო... ხო იცი სუ-  
ღია ხალხი ვართ... იქნება მართლა იცი, რამე... შენც  
კაცი ხარ, ვირი ხომ არა ხარ, რო...

მეს. დადექ, თორე აი სკამს თავში დაგთხლეშამ...

მეუღლე. კარგი თქვი, კაცო, აცა დაიცა, და გა-  
თავე... მაგას რა ყურს უგდებ, ხო იცი აცა დაიცა, გა-  
იგონე, რა ლაქლაქაც არი...

მეს. დაჰწყევლა ღმერთმა! რა ახირებულია... (სი-  
ხუმე) ხო გაიგებდით, რო მოურავანთ ბიქმა სანდრუამ  
სახლის ადგილი გაყიდა...

მეუღლე. ჰო, აცა დაიცა, რა გითხრა, მერე?

მეს. მერე და ისა, რო ეხლა მოსულა და მთხოვა,  
ნასყიდობა დაგვიმტკიცეთო, შაგვიმოწმეთო.—რას იტ-  
ყვით, თითო მანათი გამოვართოთ და დავკრათ ე ბექ-  
დები, მაინც მუქთათ გვილაგია ჯიბეში...

ზინჯ. აი ავაშენა ღმერთმა! აი მაგითანა ამბას  
მოიტანა რო იცი, იმიტო მიყვარხარ... მაგრა იმიტო  
მეჯავრები, რო კაი წერა არ იცი.

მეუღლე. აი ამოგაგდო შენ ღმერთმა, აჰა.. გაიგონე,  
რა გითხრა..

მესამე ჰა, ე... რას იტყვით, თუ თანახმა იქნებით,  
გამოვართმევ ქალღმერთსა და შაუმოწმოთ...

მეუღლე. ძალიან კარგი კი იქნება... აცა დაიცა,  
რა გითხრა, კაცო, ეხლა ერთი მანათი ამ მკათათვეში  
იცი რა ღირს!...

ზინჯ. ეი, იშტა კი აქ ამ ვაებატონს, ჩაჯიბამ კი  
აი, თუ იშოვე რამე... თუ მუქთა ქელეხს შაჰხვდი სადმე,

ჩაალაგებ?... აბა საქმე იყოს გასაკეთებელი, მაშინვე, მუცელი აქტკივა.

მესამე, (პირველს) მაშ უარზე ხარ შენა?

პირვე. ხო არ გაპგიეებულხარ, ამ დავარდნილზე ნაკლებათ შამიძლიან ფულის აღება?! მიიტა თქო...

მწკრ. სამივე ძალიან ბრძენი ხალხი ხართ... თქვენ ხო კანონიერსა და უკანონოს არ დასდევთ, ოღონდ ბეჭდის ფული კი მოგცენ. თქვენ ისე საქმეს გაიხდით, რომ აღარ იცოდეთ, საიდან იყოს გამოსაძრომი... მე რო არა გყვანდეთ, რა გეშველებათ, თქვე საცოდავებო...

პირვე. რა ამბავია, რაზე მოჰყე ლოცვა-კურთხევას გადამდგარი მღვდელივით? (ღანახენებიც გაფცდებიან)

მწკრ. ისა, რომ იმ ნასყიდობას ეგრე იაფათ რათ უმოწმებთ, როცა მეტის აღება შეიძლება, ეგ ცოტა უკანონოა. თუ მეტი მოგვცენ, მაშინ დაუბეჭდოთ.

მესამე. (სამივე ერთად) როგორა, აბა?

მწკრ. სანდრუა ბიქს ხომ უმცროსი ძმა ჰყავს; იმის აპეკუნნი კა დედა არი. აპეკუნს ნება არ, აქ; ობლის მამული გაყიდოს, ძმასაც ხომ არა აქვს ნება და არა... ეგენი კი ორივე აწერენ ხელს, უფროსი ძმა თავი მაგიერ და დედა, როგორც აპეკუნნი... მე ეგ კარგა ვიცი, მე თითონ არ დაუწერე ნასყიდობა!

მეორე. მერე, კაცო, აცა დაიცა, და მაშ თუ ეგრე უკანონო იქნება, ხო საციმბიროთ გავიხდით საქმეს...

მეს.—ვაიმე... რა იმედი მქონდა, ცოტა სახარჯოს ვიშოვი მეტქი!

მწკრ. თუ თუმანი მოგვცენ დაუბეჭდოთ, იქიდან ოთხი მანეთი მე და ოროლი თქვენა...

პირვე. უკანონოაო, შენვე არ აბრაზუნებ, რიღას თუმანი, რიღას გაყოფა?

მწერ. ჰაი გიდი! ცოტა მეტი მიხვედრა რო გქონ-  
დეთ თითონვე გაიგებდით, მაგრამ რო არა გაქვთ, რას  
იზამ... ეგ ისეთი საქმეა, რომ სანამ ობოლი არ გაიზ-  
დება, დავას ვერაფერს დაიწყებს; ობოლი კი ეხლა ათი  
წლისაა. მანამ ის სრული წლოვანი გახდება, სანამ ის  
მოიკითხამს იმ ალავს, მანამდის ან ვირი, ან ვირის პა-  
ტრონიო, ხო გაგიგონიათ! მაშ რაღაა სადარდებელი,  
აწილოთ და დაუბეჭდოთ. გაიგეთ? მიჰხვდით, თქვე სა-  
ცოდავებო. თუმცა უკანონოა, მაინც საშიში არ არი.

მეს. აი ავაშენა ღმერთმა, როგორც მე მასიამოვნე  
კაცო, ეხლა ნუ რას მიზამენ, თორე როცა სუდია აღარ  
ვიქნები, მაშინ ასეთი ატკაზი ვტკიცო, რო...

ზანგ. მაშ არა და! ახლა მამა უცხოვრდათ მაგათ,  
მაშინაც მე გავარჩევ... თითონ თავში ქვა იხალონ და  
გაარჩიონ, ვინ მტყუანია და ვინ მარჯალი!...

მეორე. აცა დაიცა, რა გითხრა, მწერელო, მე მა-  
ინც გული მენაყიშება...

ზანგ. (შეტევით) ჩუმათ იყავი შე ბაყაყავ, თორემ!..  
ჩვენთან თავი არა გაქვს! მაშ რა კაცი ხარ! შენ ჩიბუხი  
გააჩურე! ე ქალაჩუნა, ესა!...

მეორე. კარგი, აცა დაიცა, რა გაეწყობა... შენ ვის  
არ აჯობებ... აცა დაიცა, რა გითხრა... (ჩიბუხს მანთავს  
და ეწევა; შემოდის გზინა)

გამოსვლა მეორე

იგინივე და გზინა

მეს. მაშ ეგრე ვეტყვი, ფხვებს კი არ შამქამს, რო

არ დაგვყაბულდება. თუ არა და შავაშინებ, რო ასე იქნება, ისე იქნება მეტქი და კიდევ შემეხვეწება.

ზინგ. (გზინს) რაო, გზირო, იპოვე?

გზინი. (მადლ-მადლი კაცია, ხმელი, წელში მახრდი, დიდ ცხვირს და ჭიჭინას ღანაჩაკი იცის) შინ არ იყო ი დასაქცევი; ასე თქო იმი ცოლმა, რო სოსია მიწაშიაო.

მეს. როგორ თუ მიწაშიო, კაცო, მოკვდაო?

გზინი. ჯერ მეც მეგონა, მომკვდარა მეტქი და ბოლოს ძლივ მიხვდი, რო მიწაში—აი ყანაში წასულიყო, სალამომდი არ მოვაო.

ზინგ. მტყუან რა უთხრა, რო შენ იქ ზახრუმანა დაპლიე, ჰა!

გზინი. (წეენით) აბა, რას ამბობ კაცო? მაგიჰთვი სად მეცალა. თქვენ სულ ეგრე გგონიათ, რო...

მწედ. სწორეთ სტაქნის ძირში დამალულა სოსია, თორე ეხლა ის არსად არ წავიდოდა...

მეს. ვაი შენი ტყავის ბრალი, თუ არ მოიყვანე, გაიგე!

გზინი. შინ არ არი და მე რა ვქნა...

მეორე. ბრმა გიორგა ჰნახე?

გზინი. ვნახე, მანდ ღუქანში იყო, ისა და ლაფიერა ჰსვამდნენ: უთხარი და ორივ მოვალთო.

მეს. ლაფიერა რაღა ჯანდაბათ გვინდა... ი ლოთი თუ არ მოვიდა აქა მე ვიცი როგორ იქნება.. ახლა მოჰყვება: ჰსწერია, არა ჰწერია!..

ზინგ. არც ისინი დაგპატიებდნენ!? ძალიან დორანი დავცემია შენ დღესა აი მედა ჩემა ღმერთმა!...

მწედ. წადი კიდევ და დაუძახე... დღეს იმათი საქმეა დანიშნული... ჰენჩიკას, საბრალოს და კიკოლანთ თანდილას.

**მეს.** წადი ჩქარა, რომ დროით გავარჩიოთ. (სინუშე)  
წადი, შენ არ გესმის, მორეკეო?..

**გზინა.** (ზღაზვნით და ბუტბუტით) მორეკე, ასე გონია ცხვრები იყვნენ... ახლა რა ვიცი, სად ჯანაბასა და მოუსაველეთში იქნებიან?.. სულ წადი, წადი, ასე ჰგონიათ, ეს კი კაცი არ არიო... ლუკმა არ ჩასულა დღეს ჩემ პირში და მაინც ფოჭტი ცხენივით დამაქენებენ...

**მეს.** შენ სულ მუგ შენ საოხრო მუცელ ჩაპტირი... რა გიზის მაგ ოხერში, მგელი თუ რა არი, რომ ძლომა არ გეკიდება...

**გზინა.** (კიდევ ბუტბუტით) შენ დილა ადრიან გამძღარხარ ჩაითა და არყით და მე კი არა მკითხავ,

**ზანგ.**—რა კიანურით ვააბი, შე ოჯახ დაქცეულა, წადი, წაეფორიე, ბევრს ნუ ჰყბედლოფ, თორე თუ წამოვდექი, იქნება შენ ზურგი დაგიზილო!

**გზინა.**—ხო მივდივარ, ახლა თავ-პირ კი არ დამიტრევე. (ბუტბუტით თავისთვინ) წადი... წადი... მონახე, მორეკე... ამოგიწყდათ თქვენ ოჯახი, აჰა... (გადის)

## გამოსვლა მესამე

### იგინივე და ხადუნა

**ხადუნა.** (შუა ტანისა, ჯმუხი, სულ დაბღვერილი იყურება და დახარაკში ახიჩება იცის, თანაც უვირის) მწერელო, აბა ეს წამიკითხე. (ასღევს თამასუქს)

**მწერ.** მერე რომ წაგიკითხო?

**ხადუნა.** მერე გეტყვი, ჯერ წაიკითხე!..

მწერ. — კაცო, ჯერა თქვი, რა გინდა, რომ ისე წავიკითხო... საქმე უფრო მალე და მოკლევით გათავდებოდა...

ხადუნა. — რა შენი საქმეა... კაცო, ჯერ წაიკითხოვ ვე ვერანა, ეი... და აქ არა ვარა, ენა მუცელში ხო არ ჩამვარდნია... იმასაც გეტყვი...

მწერ. — გიჟია ეს ოხერი. (კითხულობს)

მეს. — მერე რა გინდა, არ იტყვი, შე აჯამო, შენა რა გინდა, აბა, ხო უნდა ჰქონო?

ხად. უნდა ეთქო, კაცო; მაგრა ჯერ წაიკითხოს...

მეს. — აი გაათავა...

ხად. — ვიზეა, ეგა?

მწერ. — თეძოლაზე.

ხად. — ჰო, მეც ვე მინდოდა... რამტენია სულა?

მწერ. — სულ არი სამი თუმანი, ოთხი მანეთი და სამი აბაზი, ვადაც გასულა ამ ერთი კვირის წინ.

ხად. — აგაშენა ღმერთმა...

ზანგ. — მორჩი, რა გინდა ეხლა?

ხად. — (ხმის მომატებით) რა მინდ, კაცო, და ერთ პროტოკოლი დამიწერეთ იმაზე, რომ აი ვადა გავიდა და ფული კი არ მათქ.

ზანგ. — რის პროტოკოლი... რას მიედ-მეედები, რა გინდა, ბიჭო, პროტოკოლი?

ხად. — თქვენ პროტოკოლი დამიწერეთ და მე ვიცი რათაც მინდა... მე მოუხერხებ იმასა! იმასა ჰგონია, მბრმა-ყრუვი ვიყო და ხმას ვერ გავცემდე... იმ დღე მივედი, ჩემი ფული მამე მეთქი და კიდევ გამლანდა კაცო! სადა მათქ ეხლა ფული, რა ჩამცივებიხარო, მე... თქვენ პროტოკოლი დამიწერეთ!...

მეს. პროტოკოლი რა ჯანაბათ გინდა... გიჟია კაცო, თუ ცეტი...

ზინგ.— ბიჭო, პროტოკოლს მაშინ შაგიყენებენ, როცა აბეშიკი ტყეში შეშაზე მოგასწროფს, გაიგე? ეხლა ეგ რათ გინდა?..

ხად.— მაშ რა მინდა, კაცო? აბა, მაშ რა მინდა?..

მწეკ.— შე გამოყეყეჩებულო, არც კი იცი, რა უნდა ითხოვო და ფულებს კი ასესხებ... შენ გინდა „ისპოლნიტელნი ლისტი“— აი აღმასრულებელი ფურცელი, იმას მამასახლისს მისცემ და ის კიდევ ფულებს გამაართმევს და შენ შენსას ჩაგაბარებს...

ხად.— ჰოო. ეგ, მინდა, სხვა არაფერი, შენ მართალი ხარ... სახელი მერე შე რა ვიცი, რა ჰქვიან, თქვენ რაღაცა ეშმაკურათ ეძახით, მე სად დავიპწავლო?.. დამიწერეთ ეე იპოლიტეს ლიპტია, თუ რაღაცა...

მწეკ.— კარგი. მანდ მოიცადე... (ქაღალდის მამზადებას შეუდგება)

მეს.— შენ ბექდი ფული გახეხე... ორი აბაზი... ლიპტი ადვილია...

ხად.— (პირუკუდმა წაღებით) გავხეხავ, მეტი რა ჯანი მაქვს... შვილოსა, ვალად კი წაგივიდოდათ, რო არ გამოგერთოთ, აი!..

ზინგ.— ეი, მუქთაზე კი გამარჯვებული ხარ, ფეხებს მამქამ და კარგაც ამაიღებ... (შეარეს) ჰა რას იტყვი შენა, ჩვენო გამამხნევებლო და სულის ჩამდგმელო, კარგათ არ ვამოფ?

მეარე.— (ჩიბუსს ეწევა) ძალიან კარგათ ამოფ.

ზინგ.— აი, შენი ამომრჩევლის გონებას კი რა უთხრა, აჰა! არა, ვინ ოხერმა დაგაყენა შენ სუღია-მოსამართლეთ, ერთი მითხარი, ვინ გაგიყდა და შენ დაგასახელა, ჰა?..



მეორე. — აცა დაიცა, კაცო, შენ ეი რას მოჰყვები ხოლმე... რა გინდა ახლა?

ზიწუ. — რა და ხმა ამიღე, კაცი მარა ზიხარ აქა, ნებეი გოდორი ხო არ დაუდგამთ.

მეორე. — მმ... აცა დაიცა, რო დაიწყებ...

მეს. — კარგია, მამასახლისი მოდის... (შემოდის მამასახლისი)

გამოსვლა მეოთხე

იგინივე და მამასახლისი

მამასახლისი. გამარჯობათ! ოჰ, ჩვენ ხილურას!.. როგო იყო, შაირი რო გამოვითქვეს ი რურს თაობაზე: ეს აჯამი ხილურაო, რუვში რათ გახილულაო.

ხიდ. — მარა მექნა, შე დალოცვილო, წყალს არ მანებებდნენ მოსარწყავათ, ვენახი მიხმებოდა. ავდექი მეც გაჯავრებული და გავიხიდე რუვში, აბა ნუ მომცემთ მეთქი...

მამას. — კარგებიც ხო მოგაყოლეს ი ნებუებმა და ვენახის პატრონებმა!.. (მოსამართლეებს) თურე აიღებენ ჩვენ ხილურას ეს ამოტელა ხალხი და თავდაყირა ჩააყუდებენ წყალში, ისევე ამიიღებენ. ჰკითხამენ: ხილურ, კიდევ გადაუგდებო? აბა! ეს ხმას არ იღებს... მერე კიდევ ჩაუშვებენ... იბერება საწყალი ხილურა წყლით... ისევე ამიიღებენ. ფართალებს საწყალი და ფხებს იქნევს, მაგრა ვინ შაიბრალებს!.. ასე აწვალეს კაი ხანი... მერე, როცა კარქა დაოსდა ე აჯამი და მაშინ კი ეხვეწებათ თურმე: თქვენი ჭირიმეთ, აღარ ვიზამოლონდ ცოცხალი გამიშვით, ნუ დამახრჩოფთ და სუ

...აღარ მოვრწყამ წლებულ ვენახსაო.. წინალამ კი დე-  
ბროთ საწყალი კაცი! ხა, ხა, ხა! (იტინიან)

ხიდ. —(თავჩქინდრული იდიმება ნადველშეკრევით) მა  
რა მექნა! კაცს მახრჩობდნენ, აღარა მზოგადდნენ და  
მოდრი ნუ შეეხვეწები, თუ ბიჭი ხარ.. მეტი რა ჩარა  
ყო... აკი უჩივლე კიდევ, მაგრა... ეჰ, ვინ უგლო  
ქური?...

მამას. —კარქი, კარქი, ნუ გაჯავრდები... მაგითა-  
ნები გვინახამს მე და შენ... ეხლა ეს მითხარი, რა ამბა-  
დია, რათ გარჯილხარ? თამასუქი ხო არა გაქ გასანალ-  
დებელი? ჰოო?

ხიდ. ჰოო... აი ეხლა მწერელი მიწერს.

მამას. მაშ მედა შენ ერთმანეთ შავხვდებით მოვა-  
ლვთან! ვიზვა?

ხიდ. თეძოლაზედ.

მამას. იმას ხო ერთი ბოხჩა ვენახი აქ, რა უნდა  
უწერო სხვა? მერე ვენახს კარქათ კი უსხია, გამოვა  
შენი საკმარისი? (შემოდინს ბეჭქენს კალატოზად და სოფ-  
ლის „პატოისანი კაცი“ გიგოლა)

ხიდ. სწორეთ მეტი არ მინდა; რაც გამოვა, მე-  
ქოფა... შენ ის შაუკარი, მე დაუკრიფო და შენი...

მამას. კარქი ჩემო, ხიდურ, მაგაზე მერე მოვილა-  
ბარაკოთ, შინ ამომიტანე, ე ქალაღდი და...

გამოსვლა მესუთე

იგინივე, ბეჭქენა და გიგოლა

გიგოლა შირ და შირ მამასახლისთან მივა; ატვია სოფ-  
ის და გვარად სუფთად, თავი თავისუფლად უჭირავს. ბერ-

ძენას ხელში დიდი ეავარჯენი უჭირავს, დაბალ დაბალი კაცი, ხმელ-ხმელი, ცხინი გძელი და წვეტიანი, თვალები პატარა და მოთამაშე, წითელი ქართული ჩოხა აცვია. ტყავის ქუდი ჭხურავს. ძალიან ტკეპნითა და მახინჯათ ღაპარაკობს ქართულს)

**მამას.** რაო, გიგოლი, რას იტყვი?

**გიგ.** ერთი ესე მოდი ცოტა ხან. (გვერდზე გავლენ)

**ბერძ.** (ცოტა წინ წამოდგება) პატონო სუტივო, იკაწი არ ტაიპარეტ, აი პრმა კიორკას რო უჭივლე?

**ზინგ.** დაბარებულთა, ცოტა მაიცა ე მანდ.

**ბერძ.** წალიან კარკი, მოვიწტი, ტუ ძალიან არ ტაიკვიანებს...

**ზინგ.** არა, მალე იქნება. (ბერძენს უკან დგება)

**გიგ.** — (მამასხლისს) კაცო, განა მე ფული მენანება, ოლონდ ჩემი მიწა მოუხნავი არ გაეშო... მაგრა რაც იყო, იყო... მაგრა შენ ერთი ი ტაბაკა კარგათ შამიხურე და თუ ჩემი ხათრი გაქ, ერთი კიდევ დაამწყვდიე ორიოდე დლით, რო ჭკვა იჭწავლოს, თორე ძან თავ წავიდა. ბიკო, დღეს სოფელში პატროსან კაცად ვითვლები და ის კი — ის უმზგავსი და სალახანა ვიგინდარა იმას მიბედამს, რო შენ ვინ ოხერი ხარო; სოფელში მეც ისეთი ხმა მაქ, როგორც შენაო... განა რაკი ზედ სიძეთა ვარ შამოსული, სოფელში ხმა არ ამომედებაო? მე მეტი რათ მაწერია ხარჯი და შენ ჩემზედ ნაკლები, როცა ჩემზე ათჯერ მეტი მამულიცა გაქ და სხვა შადლე ბაცაო... კაცო, მოდი და ჯავრი ნუ მოგივა...

**მამას.** მერე და აბა ახლა მაგაზე როგო უნდა ჩავსო? უთქომს, უთქომს, რა უყოთ მერე... მაინც იქნება სიდელრმა უჩივლოს და მაშინ მოუხერხებ, იმას ხო აშარი სიდელრი ჰყავ...

გიგ. კაცო, განა მარტო ეგა თქო რო... თქვენაო მამასახლისის ყურმოჭრილი ყმები ხართო. (მამასახლისს ხსენებდნენ დიმი გაუკრთის) და რასაც ის გიბრძანებთ, თქვენც ისე ჰჩადიხართო... ეგ სუ იმი ოინებიაო... და ეგ უსამართლობაც იმან ჩიდიანო...

მამას (ამის გაგონებაზედ დრიადით) აბა, თუ ეგრეა და მაშ მე უჩვენებ იმას სეირს, გატუსულ მელას რო ჰგავ... უსამართლობასაც და სამართალსაც ხელში მივცემ. (გამობრუნდება. ამ დროს განმავლობაში შვეკადი მუშაობს ადმინისტრაციას ფურცელს, მისამართლები ბეჭედს დაჭკრავენ, ხიდურა ამოიღებს ძველ ნაბეჭდიდან რა აბაზს და სტოლზე დააწებს, რის შემდეგაც აძლევენ ქადაგდს)

ხიდ. აჰა თქვენი ბეჭდი ფული, ორი აბაზი... მითო გლახითვი მიჩუქებია.

მწერ. განა არა ხარ ისეთი...

მამას. მოვიდეს აქა... ხო მოვა...

ხიდ. (მამასახლისს მიუტანს) აბა, მამასახლისო, ახლა შენ უნდა მიპატრონო...

მამას. კაცო, აკი გითხარი, შინ ამომიტანე და იქ გამოგართმევ მეთქი... სხვა არა იყოს რა, წიგნში უნდა ჩივიროს თუ არა...

ხიდ. კარქი, რა გაეწყობა! (თავისთვის) ჰაი, რა ოჯახდაქცეულია, მეტი უნდა გამამართოს რაღა!... (იქვე გაქვს სკამზე ჩამოჯდება ბერძენას ახლო და იმას ელაზარაკება. ცოტა ამაზე წინ შეშინდის თანდალა)

გამოსულა შექვსე

იგინივე და თანდალა

გიგ. აი, მოსამართლეებო, ის კაცი, რომელმაც

ფული გამამართო, ანეულათ უნდა მეეხნა ერთი ნა-  
დელი და ანეულათ კი არა, ნაოშობაც გათავებს აპი-  
რებს... ახლა ჰკითხეთ, რატო არ მამიხნა თავი დრო-  
ზე?

ზირე აბა, წინ წამოდექ... აი ეს კაცი შენ გიჩი-  
ვის, რა პასუხს აძლევ, რას იტყვი?

თანდ. (ელაში კაცია, თხელი და შუატანისა, ჯაჰარაკის  
დროს გვერდზე აწის-ყურება) რას ვიტყვი რა... რა ვიცი...  
აბა რა უნდა ვთქო...

მეს. ჰო და რატო არ მოუხანი, თუ კი ფული გა-  
მოართვი. ან იქნება ფული არ მოუცილა და იმიტო?...

თანდ. ეჰ, ფული როგო არ მოუცილა... ფული კი  
მამცა წინა დღითვე, მაგრა, კაცო, რა არ მოუხანი,  
მაგი ბრალია... მაგი ბიჭ დავაბარე, წამოვიდნენ, მიწა  
მაჩვენონ მეთქი და მაგათ მიწა დროზე არ მაჩვენეს...  
რა ვიცი... თითონ კი არსადა ჩანდა... შინ არ არიო,  
ასეო, ისეო და მე ხო არ მოვძებნიდი, სად მეცალა...

გიგ. კარქი, თუ გინდა ეგრეც იყო... მაგაშიაც  
კი ღმერთმა გაიგოს, ვინ არი დამნაშავე... კარგი და,  
როცა გაჩვენეთ, მაშინ?

თანდ. მაშინ კიდე... აკი ვაპირებდი მოხვნას...  
გუთანიც შავიტანე მიწაში, მაგრა...

გიგ. მაგრა რაო?

თანდ. ისაო, რა დედამიწა გამოგოლილი იყო და  
გუთანმა ვერ გაუარა, ისეთი იყო, როგორც ქვა... წინალამ  
გუთანიც მივაფშენიტე... ავდექი და თავი დავანებე;  
ვთქვი, წვიმა მოვა მეთქი და მაშინ იქნება ივარგოს  
მეთქი... რა ვიცი... ალო კიდეც გამოვიდა, რა წვიმა  
არ მოსულა... აბა საიდან მოუხნამდი მე მაგას?..

გიგ. კაცო, რას მიედ-მეედები... შენ ხო არ გა-

პიტიებულხარ, შე ოხერ-მუღრეგო შენა... იქვე გვერდზე მოხსულები არ არი სულა? მაშ როგო დახნეს? მაგრა შენ ფული გიჭირდა, დამპირდი, ხელი გაიმართე და მერე არაფერი, დარდი აღარა გაქ, ე ჩემ ფეხებს-საო?! აბა ვნახოთ, ვის ფეხებსადა!..

ზანდ. გვერდზე მოხსულებია?

თანდ. მოხსულებია.

ზანდ. მა რალა შენთვი გამაიგოლა ი დალუბილი.. შენ, ჩემო ძმაო, სანებვე გუთნიდედა ჰყოფლახარ... ახლა სუ ნებვებზე სად გახვნიინოთ... იქ ბაღლები ჰხნამენ და შენ როდილა მიგიშვებენ... მეღა ჩემა ღმერთმა, კარქი კი იქნებოდა, ნებვზე არც გუთანი გაგიტყუებოდა და არც ბევრი ჯაფა მოგივიდოდა... (ამაზე სიცილს დაყვიან იქ შეფენი) ვაპი შე ოხერო სახელო, რო შენც გუთნი დედა გქვან და ცეტ ვანუასადა!...

ხად. (ცოტა წინ წამოგა) რას ამოფ ე... ე... იქ ისეთი სახნავია, რო მშვენიერი... მეც იქვე არ მოვხანი, მაგი მიწიდან მესამე მიწა!.. ისეთია, როგორც ფაფუკი... აფსუს სასიანოს მიწებო, რო გუთანმა ვერ გაუაროს... შენ არ ვარგინარ, შვილოსან და მიწას აბრალებ? თავი განა ეგრე უნდა გაიმართლო!..

თანდ. რა შენი საქმეა რო წამოპტყვერი მატრაკვეცასავით... მოპყვება აქ ჰკვი სწავლებას... (შემოდის მარცხენა თვაღათ ბრმა გიორგა. ძალიან უსუფთაა, ახალ წვერ მუხარსულაია, უბეჩანგო ტანზე მარტო ფარაჯა ადვია, ისიც ძველი და შემოდან თოკის ნაკლევი უჭერია ქამრის მაგივრად, მზისგან დამწვარი უეღუფი უჩანს, ბეჩავი გამთქმულება აქვს სახისა, მაგრამ მსხვილ-მსხვილი ლაპარაკი უეფარს, ამის დანახვაზე ბეჩენა მიჭვარდება და დაუწევებს ხმა მადლა ჩხუბს ისე, რომ იქ შეფეთ შეაწუხებს. მამასახლისი გაუჭაფრდებათ)

## გამოსვლა მეშვიდე

ივინევე და გიორგა, შემდეგ ჯაფიყა და რამდენიმე გლეხი.

მამას. გაჩუმდით ე ეი, რა ღრიანცელი აპტახეთ, გაჩუმდით, ხალხო!... (სიჩუმეა)

ზარგ. შენ ბევრს ნუ ჰლაპარაკოფ, დღესვე უნდა ჩააბარო თავისი ფული ამ კაცსა...

გაგ. მარტო ჩემი ფული რა, მოწყალებასა ვთხოვ..

ზარგ. არა, მაგას გარდა ერთი იმდენიც სხვა, რა კი თავი დროზე არ მოუხანი მიწა, როგო იყავ გარიგებული?

გაგ. რა ვიცი... მაგან კი არ იცის... ანდე, თქოს რა... მოდი კაცო, ეხლა მოგიხნამ, დრო წასული არ არი ჯერა...

გაგ. რას მიჰქარამ! გამტკიცული და მქადი ერთია! რათ მინდა ეხლანდელი მოხნული? — მე ექვს მანეთად ვიყავი გარიგებული.

ზარგ. მაშ თორმეტი მანეთი უნდა ჩააბარო ერთ კვირაზე, თუ არა და მეტე ჩვენ ვიციტო... აიღებს იპოლნიტელი ლიპტსა და შენი ლურჯი ხარი გამაისეირნებს დუქნისკენ... მამასახლისო, რას იტყვი, კაი სიტყვას არ ვეუბნები?

მამას. კარქია, კარქი... (ღარიგების კილოთი) აბა, შვილო, რა გინდოდა, შენი ვალი დროზე აგესრულებინა, ხო აღარც მაგდენი დაგეხარჯებოდა და არც სახელი გაგიტყდებოდა... სუ შენი ბრალია, შენი!.. რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო, შენი

საქმეც ეგრეა... წადი, წადი, ნახე ეგ ფული და ამ კაცს თავისი ჩააბარე... წადი...

თანდ. (ბუტბუტით) მარა... ეგ რაკი სოფლის კაცია და მეტი შაუძლიან, მაგითურ სამართალიც მალეა... აბა მე მეჩივლა, თუ ეგრე მალე გადამიწყვეტამდით... უშოვეო, სად ჯანაბას უნდა უშოვნო. (თავნაქინდრული გამბრუნდება და იქვე სკამზე მოიხდის; შემდეგ ლაპარაკის დროს გიგოლს მივს თანდილასთან და დაუწყებს ფულის თხოვნას, გააბაფენ ლაპარაკს, მწერალიც გადავა მამასახლისთან და იმას ებასება კარგა ხანს)

ბუკძ. (წინ წამოვს და ცხარედ ამბობს) აი ის პრმაწ მოვიტა... აბა ერთი კიტხეტ, რა პასუხს მაწლებს ქემ საკმეზე?

მეს. აბა, წინ მოდი, გიორგავ... (გიორგი წინ წამოვს) რაო, რას გიჩივის ეს ოპტატი?

გიორგავ. აბა რა ვიცო, შენი ქირიმე... მე მაგისი ბზე არ მამიპარამს და თივა, რაზე მიჩივის? აბა, ეს მე და ეს ევა... თქოს...

ბუკძ. როგორა, უარსაწ ამოპ? შე მუტრეკო, როგორ არ იწი, მაკრა მიტომ არაპერიია... ტავი მაიმკვტარუნა...

პირგ. რა საქქვა, თქვა და აქ არა ვართ, ჩვენ მოუხერხებთ მაგას...

ლალაერა (შემოდის, გადაკრულშია, ქუდი კეფაზე ჭხურავს, ძველი ჭუჭყიანი ზეკანგი აცვია და ძველივე ჩხა, თასმის ჰრტყელი ქამარი აკრავს; მწითური, და რგვალი შირისისე აქვს, შუა ტანისაა და ჩასხმული კაცია, დინჯით ლაპარაკი უუვარს; შემოსვლისთანავე ხმა მძლავრ ტყუის) კამპანინას გაააუმარჯოოს... (ბრძა გიორგავს უგერდზე მოუდგება)

ბუკძ. მე, სუტიეპო, ტკვლეუპიანთ სახლი მკონტა

აგებული, უნდა ვატახე. ჭამებარეპინა კეტლები, რო-  
კორწ წესია... ჩემტვი ტინის კვა იკო საჭირო... მეწ  
ავტეკ და ამ პრმას კაურიკტი კვის მოკლეკას... ურემი  
ერთი აბაზატ... უნტა ოწი ურემი მოეკლიჯა. მაკან  
ატი ურემი კი მოკლიქა და ატი აღარა... მე კვა შამა-  
მაკლტა, საკმე კასატავებელი ტამრქა... ვატა კავიტა...  
მაკან პიროპაზე კვა არ ჭამაპარა და ეხლა შტრაპი უნტა  
კატაინატოს...

შიწფ. იქნება შენ მაგას ფული არ ჩააბარე თავი  
დროზე და იმიტომ არ გაგიკეთა საქმე?

ბეწმ. რას ამოპ, კაწო... მეწ მაკასა ვქივი, რო  
პული სულ წაკებული აკ... ოწი ურმისა...

გიწდ. არა, შვილო და ძმაო... საქმე ეგრე რო-  
ლია...

ჯაფ. (გიწდგას გახუშებს) შენ ჩუ... მე ვიტყვი...  
მე აქ არა ვარ... ეს ოპტატი ქვაზე ჩივის... მართალია,  
ქვა უნდა ჩაგვებარებინა... მე და ეს გიორგა ხო ამხა-  
ნაგები ვართ... კაცო, როგორც ძმები ისე ვცხოვ-  
რობთ... რაცა გვაქ, ორივესია; ხან მე მაქ... მე ვაქ-  
მევ... ამასა აქ და ჩემია... ასე არ არი, შვილო და ძმაო,  
გიორგი?

გიწდ. ეგრეა, ეგრე... ძმაო ლაფიერ...

ჯაფ. პოდა, ეხლა ეგ ოპტატი რო გვიჩივის, რაპ  
გვიჩივის? ქვა დავაქციეთ, კადეც ჩავაბარეთ, შვილო  
და ძმაო... ჩვენ მაგას კიდეც უნდა ვცემოთ... ეხლა  
მოვილაპარაკეთ მე და აი ამ გიორგამ... არა, შვილო და  
ძმაო, გიორგი?...

ბეწმ. როკორ ტუ უნტა მწემოტ... მამასახლისო  
ერთი კაიკონე ტა!...

გაბრ. დაიცა, კაცო... ეგ რეებს მოჰყე... რის  
ცემა... ე ე...

ჯათ. ჰო, კარქი, შეილო და ძმაო... აი აქ არა  
ჰწერია (უჩვენებს მარცხენა ხელის გულზე)... ნიქსუ...  
როგო იქნება.. შენ რო ჰჩივი, ეგ არ იქნება.. აქ არა..

ზინჯ. მანდ რა არა ჰწერია, ლაფიერ?

ჯათ. რა და ისა, ჩემო შეილო და ძმაო, რო რაც  
არ უნდა იყოს—აქ არა ჰწერია.

ზინჯ. მერე და ეგ რა არი ეგეთი?..

ჯათ. ესა?... ეს არი ბედი ჰწერალი... რაც აქ არ  
მიწერია, არ მოხდება... აი აქა ჰწერია: (შტუკათ და  
წახბების აჭიმით ხელის გულზე უჩვენებს) ლაფიერამ უნდა  
დღეს ერთი ხელადა კიდევ დალიოსო.. და დაჰლევს კი-  
დეც.. ჰწერია, რო...

გაბრ. კარქი, კაცო, რას მოჰყე... დაიცა, ისევ მე  
ეთქო, თორე შენა, შეილო და ძმაო, ხვალაც ვერას  
გააგებინებ ამ ხალხს.

ჯათ. მაშ მე შენ ჰკვამი ლაპარაკი არ ვიცი?.. მე  
ვერ მოვახერხებ?.. (საწყლად) კარქი, შეილო და ძმაო, აჰა,  
მე გაფრუმდები; აი შენ უთხარი პასუხი... (იქ შეაფთ)  
ჰაა, კაცო, ამაზე კარქი რაღა იქნება... აჰა, აი მე ჩუ-  
მათა ვარ... თქვი, რაკი ჩემი ლაპარაკი არ მოგწონს!..  
არა ჰწერია? კარქი..

გაბრ. შენი ლაპარაკი კი მომწონს, მაგრა იმას  
არ ამოფ და რაც მე უნდა მეთქო... შენ ხვრულათ  
ჰლაპარაკოფ და ვერც გააგებინე მოსამართლეებს.. მე  
კი ესლავე აუხსნი...

ჯათ. (მხრებს შაიშეშუნის და ცოტა იქით მიდგება)  
აჰა, შეილო და ძმაო, აჰა... აი თქვი... მე რა... მე შევლა  
მინდოდა..

ბეძმ. შენა ტკვი, ისევ შენა ტკვი, მალე კი რო..  
კარა მოვრქეც.. კაიკე? შე პრმა ტეო, შენა...

გიორ. ნუ ილანძლები კი, შეილო და ძმაო.. ეგ  
უჭწავლელი კაცი საქმეა.. მე ვგრე არ მოვიტყევი.. მე-  
ორეც ესა, მე თუ ბრმა ვარ, ჩემი ბრალი ხო არ არი,  
ქვის ბრალია.. ქვას ვამტვრევდი, უცებ მეცა ერთი წვე-  
ტიანა ნატეხი და ესე კი დამასახიროა პატიოსანი კაცი  
და თვალი გამამეთხარა... ახლა?

ბეძმ. მეორეწ უნტა ტაკპრმავიპოტა, კარკი იკნე-  
პოტა, შე პრმავე!..

გიორ. მე თუ სლიპოი ვარ, შენ ღურაკი ხარ..  
რითა მჯობიხარ.. შენზე კაი რუსული ვიცი.. შენზე კაი  
ბიჭი ვარ შახედულობათაც.. რაო?..

მეს. კაცო, რას გააბით აქა.. თქვით რაც საქმე  
გაქთ, უნდა გავათაოთ თუ არა? ეი ვეგონება ამათ-  
თვი ვიყოთ მარტო?

გიორ. თქვენ მართალი ხარ, გასპადინა სუღია.. ამას  
რას ველაპარაკები.. ღირსი კია ჩემი ლაპარაკისა? მე აი  
განათლებულ კაცს უნდა ველაპარაკო, რო მაგან გაი-  
გოს ჩემი დარდი და წუხილი.. (მწერაჯს, რამეჯიც ისევ  
მამასახლისთან არი) პასლუშიტ, ია დელა იმეიუ, ხაჩუ  
ვამ გავარით...

მწერ. შენ საქმე თქვი და ჩვენ გავიგებთ.. (მამასახ-  
ლისს იღუმჯაჯდ) ამალამ ამოვალ და ყველაფერს მაშინ  
გავმართავთ, აქ არა ვარ.. ისე გავაკეთო საქმე, რო  
ფხილიც ვერსად ჩაევლებოდეს..

მამას. (ეგრევე) შენ იცი და ხელცარიელიც არ  
დარჩები, ხო იცი.. (გადაჯა თავის აჯაკას)

გიორ. მე უბრალო ნუ კი გგონივართ.. ე. ე. ე-  
შვილო და ძმაო, ბერძენავ, შენითანას არც კი ვკადრუ



ლობდი, ეჭ. რაც მე გამამივლია, მგონი რიყის ქვაც არა გორებულა იმდენი სათავიდან ზღვამდი! თქვენ რა-იცით!.. მე აქ რა მინდა? სადაური ვარ და აქ სადა ვარ, კაცო! ია, ზნაიშ, ქიზიყსკი ჩალავეკ! ია ტამ მნოგა დელა ზდელალ... ეჭ, კაი ოჯახი შვილიც ვიყავი; ვინ არ იცის, აბა იკითხეთ, გულაშვილის ოჯახის სახელი სადამდი არი გავარდნილი.. მაგრამ ეჭ, თვალი დაუდგეს სიღარიბეს, მიწას მათხრევენებს და ქვას მამტვრევენებს..

მამას. ერთი დახედე ჩვენ გიორგას! ბიჭოს, თურმე ეს რა კაცი ყოფილა და ჩვენ კი არ ვიცოდით. (ეგუჯანი იცინიან)

მწერ. რა გული გაგტეხია, განა ეხლა აღარა ხარ გულაშვილი!..

გიორგ. ეხლაცა ვარ, მაშ! მე ისევ გულაშვილი ვარ, ისევ!.. ია აზიათ გულაშვილი! ჩტო ეტა დრანი ფარაჯა ნა მენე, ტაკ ია ნე ხაროში? ნიეტ ოჩინ ხაროში, ტოლკა ნაროდ ნეგადიცა.. მე კაი ბიჭი ვარ, ხალხი არ ვარგა, იმათ ბრალია.. ეჭ, რას იზამ..

პინგ. ხალხია, ხალხი მუდრეგ-ოხერი, რო არ გაფასებს, ჩემო გიორგი.. (იცინიან)

ბერძ. კაწო, ტუ კაი ბიჭი ხარ, რა უკავი ჩემი ატი ურემი კვა.. ტუ ქკარა არ მამიტანე, მოკკლამ, შე პრმავე, პრმა ტეო!..

გიორგ. შენ ჩუმათ იყავ, შვილო და ძმაო.. მე ამას ვეტყვი პასუხს..

ლაფ. შენ ნუ გააბი, ცოტა მოკლეთა თქვი.. ხო იცი, დუქანში გველიან; ხელადა თბება და მწვადი ცივდება... ძალე..

გიორგ. ეხლავე, შვილო და ძმაო, უპასუხოს ხო

არ გაუშვებ. ეს ოპტატი მიჩივის... ია ემუ დვაცეტ არბა კამენ სლაპაი... ონ მენი დალ ტოლკი დვა რუბლი; ონ დესეტ არბა კიდევ ვზალ.. მაგრამ იმ დესეთ არბას ია ნე დაიუ.. კაცო, მაგან უნდა ბლომათ ფულეტი კრიფოს და მე ი ჩემი ოხერ ტიალი ორიოდე გროშიც არ უნდა მამცეს? ნიეტ, ია ნე ტაკოი დურაკ.. ია სლიპოი, ნო დურაკ ონ! ია ზნაიუ, შტო ონ ხოჩით, ონ ხოჩით: ეტო დესეთ არბა კამენიც ვზიათ და მერე შენა ჰდიე მაგას!.. კაკოი მალჩიკ!..

ბეკმ. მე რუსული არ ვიწი, კარტული ტკვი, შე პრუწიანო, ტორე.. მეც კამაკეპინე, პასუხი მოკწე..

ჯაფ. ეგ მწავლულია და! ეგ სხვა ბრმაა, იცის ბიკმა... დაა, ჭწერია!.. (ჯაპარაკს ჩუმათ განაგრძობენ)

გაგაფ. (ხმა მადჯა განაგრძობს) მაშ თანახმა ხარ, იმ თორმეტი მანათის ბარათი მამცე?

თანდ. მა რა უყო, ფული ეხლა სადა მაქ, რო შენ მოგცე!...

გაგ. ჭო და როგორც გითხარი.. მაგ თორმეტ მანეთს სარგებელიც ზედ მივაკეცოთ ექვსი თვისა ათ შაურობაზე, რაც იქნება, იმი თამასუქი დამიწერე.. სულ დაიჭერს ოცდა ექვს მანეთსა და ორ აბაზს... მამეცი ი თამასუქი და მერე შენ იცი.. გინდა?

თანდ. (ზანტად, თავის ქექით) ბარე არ მინდა, მაგრა სად წავივალ... ვაპ რა ჩემი თავი მე დავლუპე.. (თავს იქნევს შწარეთ)

ხიდ. არა, ძან კაი პირობაა ჩემმა მხემ... ეხლა თორმეტი მანათი შოენა უფრო ძნელია, მაშინ ღვინო იქნება, მოსავალი...

ბეკმ. არა, მიჰკარამს... პული სულ მიწემული მაქ... კაწო, პული მიცემულია, ეკ უარს ამოპს...

პაი შე პრმა ტეო, შე პრუწიანო... (ამ დრას ისმის გარედან წივილ-კივილი და ღანძღვა დედაკაცისა, რომელიც ცოტა ხანს უკან გაჯავრებული სტენაზე შემოვარდება, შავი კაბის წინა კალთა აუკეცნია, თავზე მოსახვევი ცოტათი მოჭშლია; შესახედათ კი მოყვანილი დედაკაცია, ჯერ ისევ ჭარმაგი. ეტყობა, რომ მკლავში ღონე უნდა ჭქონდეს. შემოსვლის-უმალ მიიჭრება მოსამართლეებთან, დაიწეებს ჩივილსა და უგირილსა; შემოდის გზარიც)

## კაძოსულა მერვე

### იგინივე და დედაკაცა

დედაკაცი. თქვენი ჭირიმეთ, თქვენი მუხლების ჭირიმე, დამითარეთ და დამახსენით იმ ამოწყვეტილის შეილისაგან... აგრემც იმას არ გაპთენებია ხვალინდელი დილა და გაპრისხვია ჩემი სალოცავი წმინდა გიორგი, გაპწყრომია წმინდა ნათლიმცემელი ჩვენი მფარველი და დედალვთიმშობელი, ქვრივ-ოხრების კალთა აპანდე!.. აგრემც დაპბრმავებია თვალები და დამიწებული მინახამს ადრე და მალე!..

მამას. რა იყო, ადამიანო, რა მოგივიდა, ან ვისა პწყევლი ეგრე დაუზოგავათ... რა ღმერთი გაგწყრომია?

დედ. რასა ბძანებ, მამასახლისო, წყევლა რომელია... ესეც ცოტაა... გულზე ცეცხლი მეკიდება და ღამის ტვინი შამერყეს... განა ამაზე მეტის ღირსი კი არ არი, ვისაცა ვწყევლი?.. ის დედამა აძალღებული და გასაგის... (შეღგება) გასაგისი აბა როგორ დაუწყევლო,

როცა ჩემებიც არიან... აგრემც გაჰხეთქია მიწა და ჩაუტანია თანა!..

მამას. შენ სიძე ტაბაკას ხო არ უჩივი, ჰა? სწორეთ ეგრე იქნება, არ დაიჯერეფ?..

მოსამას. (სამიფე ერთად) ეგრე იქნება, ეგრე...

დედ. აბა იმას უჩივი, იმ არ გასაშვებს და ცოცხლებში გამორჩეულს...

მამას. მერე და რაო, რა გაწყენინა? მე იმას მოვაქვიანებ... იმას კაი გასახვრა უნდა... ცოტა ჯავრიცა მჭირს...

დედაჟ. გასახვრა კი არა, შენ გენაცვალე, სუ ტყავი ააძრე ზურგზე, იმ ზურგ და ბეჭებ გასახმობს!.. ისე დაუღურჯე იმას ი გვერდები, როგორც აი მე დამიღურჯა თავი დასადუნებელი ხელებით. ისე მომიჭირა..

მამას. როგო, გცემა კიდევცა რაზე, რა იყო?

დედაჟ. მამასახლისო, მაგაზე კი ახია, არ დამეკარქება.. მაგან რო იმას ი ერთი ბეწო ბაღლი, თითი ტოლა გოგო, გაიმეტა და მიათხუა, რატო უარეს არ უშვრება... მე რო ვიყო მაგი პატრონი, ყოველ დღე ვცემდი და დამწყვდელი მეყოლებოდა...

მამას. (შეტყვით) შენ შენთვი ეგდე, რა შენი საქმეა, რო მოჰყვები ხოლმე...

დედაჟ. აი გაგიწყდა სინსილა, აჰა!.. ერთი ამას უყურეთ რეებს მიჰქარამს!.. რატო ენა არ გაგიხმა და ხმა არ ჩაგიწყდა, სანამ მაგას იტყოდი, შე დაწყველილ-შეჩვენებულო... შე უნამუსო, შენა...

დედაჟ. ვის უბედამ მაგითანებს ჰა? იქნება შენ მე კარქა არ მიცნობ, რა ბიჭიცა ვარ? გამიფთხილდი, თორე...

დედაჟ. გიცნობ, შენმა თვალების დაბრმავებამ, რუ-

სეთიდანა ხარ მოსული და ვინ გიცნობს!... მაგ შენ სა-  
 ოხრო მუცელს კი ჩააყარე შენი დედულ-მამული და  
 ცოლშვილი... შენ რომ არ გიცნობდე, მა ვიღას ვიცნობ!  
 ეკ არა ხარ, გაბოხილ პერანგისა და ჩოხის ამარა, მაგი  
 მეტი ხო არა გაქვავია რა ქვეყანაზე... მიცნობ... უფიქს...

ლაფ. (დობიჯ-შემოყრდილი) მეტი არა მაქ რა,  
 მაგრამ ესეც მდიდარი ვარ!.. განა შენა გგვევარ, რო  
 ფული შავინახო... რა ჯანაბათ გინდაქ!.. მოჰკვდები და  
 შენი სიძე შაჰკამს. მაიტა ისევ მე შამაქამე, უფრო შა-  
 მერგება, შენთვინაც სახელი იქნება...

დედაკ. შენმა თავი გახეთქამ... მერე მე სადა მაქ ფუ-  
 ლი, ან ვინ მოგახსენა, რომ მე ფულს ვინახამ...  
 ერთი აბაზიც არსადა გღია ჩემ ბედობაზე... შენ ენა  
 დაიმოკლე, ნუ ჰყბედობ...

ლაფ. (იქით) რა მადიანი აღამიანია.. რა ფხიანია  
 ე დალოცვილი!.. შენა გონია რომ არავინ იცის, თორე  
 ვისაც გინდა ჰკითხე, ყველამ იცის, რომ შენ ფულს  
 ასესხეფ...

დედაკ. (ცხარეთ) დაგწყევლა ღმერთმა, რას ჩამცი-  
 ებია... ვის რა ხელი აქ ჩემ ფულებთან... მაქ, თუ არა  
 მაქ, ეგ ჩემი საქმეა... შენ რა გესაქმება, შენ ვინა გკით-  
 ხამს, შენ მამშორდი თავიდან, ნუ გამამიყვანე მოთმი-  
 ნებიდან!..

ლაფ. (იქით) რა მოხდენილია და რა ცქვიტია...  
 (გიორგის თვაჯს უშერება) ისეთი იქნება ესა, როგორც  
 ცხელი პური და ყველი... როგორც კარაქი!.. ერთი შა-  
 ჰხედე და... (იმას) არა, ახლა ნუ ცხაროფ კი, დედაკაცო,  
 მე ისე გითხარი, თორე... შენ კი, გენაცვალე, შენ ვინ  
 გაწყენინებს!..

დედაკ. რაო! შენ კი გაგიწყდა სახელი და ჯანი,

აჰა... რაებს მიჰქარავ... ჩუმათ ეგდე, შე ლოთ-ბაზარავ, თორე დღე-გძელობა მქონდეს, შენ საქმე დაგმართო...

ჯაფ. ნეტა არ იქნება, ისეთი დამმართო რამე, რო მეტიც აღარ მინდოდეს.. ნეტაი არ იქნება, (ხვეწნით) როგორმე... როგორმე, შენი ჭირიმე..

დედაკ. ბატონო, მამასახლისო, ეს ბედკრული შვილი გააჩუმეთ, მამაშორეთ, თორე სისხლს მოვახდენ... ერთ რასმე დავთხლეშამ... ეს შეჩვენებული ესა... რა არი მანდილოსანს სასამართლოში არ უნდა მოესვლებოდეს? რა ღვთის წყრომაა...

მამას. ლაფიერ, ხმა გაიკმიდე... ემანდ შენთვი ეგდე, თორე... შე სვინილის გაწყვეტილო... მანდილოსანს შაურაცყოფას მიაყენებენ ამოდენა ხალხში!.. ფუ, შენ კაცობას...

ჯაფ. კაცო, და რატო აქამდი არ მომაგონე, შე ასე მეგონა, აქ აღარავინ არი მეტქი... ერიჰა, მოვტყუებულვარ!.. მაგრამ მე შენთან ხო არა მაქ საქმე, მე აი ამ ქვრივს ველაპარაკები... შენ რაა? შენ რო შამეხვეწო, ხმას კი გაგცემ? შენ რას გამოგრჩები, მაგას მინდა გამოვტყუო რამე, თორე..

მამას. აბა თუ ხმა ჩაიწყვიტოს ამ ოჯახ დაქცეულმა ეეე...

ჯაფ. (საწყლად) რათა, კაცო, რა დავაშავე? არ მეტყვი! აბა მე რა უყავი მაგ ქვრივისა!.. მე უთხარი, გენაცვალე მეტქი... მაგან მითხრა, არ მინდაო და მეც თავი დავანებე... არ უნდა და ნუ უნდა... სხვა რაა? აბა რა? აჰა, მითხარი და!..

დედ. (ისევ ცხრეთ) თვალი კი დაგიდგეს... ან ებ რათ უნდა მითხრა?.. შე გამოსაწყვეტო, მე რა შენი...

ზინგ.—გაიყვანე, გზირო, გარეთ ე ლაფიერა..  
 გვიშლის..

ლაფ. (ახლო მივა მამასახლისთან და მსხამართლეებთან) თქვენი ჭირივე, ოღონდ ნუ გამიყვანთ, აქ დავრჩე და ერთი თუნგი კაი ღვდლიანთ ღვინისა მაქ დუქანში მანახული... ერთი ამას ორიოდე სიტყვას ვეტყვი... (თავს დაუქნევენ მსხამართლეები, ისიც წხება)

მწერ. (შეატრად) გზირო, გაიყვა, ვერ გაიგონე ბრძანება! გვიშლის...

დედაგ. (ჩუმათ ელაპარაკება მსხამართლეებს)

ლაფ. (იქით) როგო თავი მომაგონა. (მწერას) შენც ჩამაიარე... წინალამ დამაფიწყდა...

მწერ. კარქი, იყოს...

გზირო. გამოდი ე. (ებლაუჭება) გამოეთრიე, არ გეყურება...

ლაფ. აღარ მითხოვენ, ეე, ვერ გაიგე?..

გზირო მე ეგენი არ ვიცი... წადი შენ აქედან...

ლაფ. შევილოსა, უვირიპთაოთ ქორწილი გაგონილა?.. შენც წამო, ერთი ტაქანი ხო გერგება... არც ეხლა მამშორდები...

გზირო. რა გაეწყობა, რა კი ისინი აღარას გეუბნებიან...

მამას. კარქია ეე.. ე.. აღამიანო, შენ ისა თქვი, რათა გცემა შენმა სიძემ? რა დაუშავე? გზირო, შენ ტაბაკა მოიყვანე მალე? (გზირო გავა)

დედ. რა ვიცი, გენაცვა, რა დაუშავე იმ სინსილა გაწყვტილსა და პირში სულ გამქრალსა..

მამას. მაინც?

დედ. მაინც და ისა, რომ მე იმ დღეს ღვინო-გაეყიდე ათი ჩაფი... ი ჩემი სასიკვდილე სიძე შინ არ იყო,

სამუშაოზე კუბრდებოდა და შავდებოდა... დღეს რომ ვიცი, გაიგო ღვინი გაყიდვა, დამიწყო, ბატონო, ლანძღვა-გინება, რომ შენ რათ გაჰყიდე ჩემი ღვინო, შენ რა ნება გქონდაო... ისე გამხადა, ისე გამხადა, რომ მთელი ქყენის ლაფი თავზე დამასხა, იმ თავ-ლაფ-დასხმულმა და გამოსაკლებმა... მართალია, ღვინო იმისია, რაკი მამულს ის აკეთებს, რაკი გამიწყრა ღმერთი და ჩემს სახლში იმას ფეხი დავადგმევი, მაგრა ი მამული ხო ისევ ჩვენია... მეორეც ესა, შენ გენაცვალე და მტლეთ დაგედე, ღვინო გავყიდე, გავასაღე, ხო არ გადავღვარე, სხვას ხო არ ვაჩუქე...

მამას. მერე ი ფული რა უყავი, შენ სიძეს ჩავაბარე?

დედ. (ანკვით) არა... როგო არა, გენაცვა, ჩავაბარე... სულ ჩავაბარე... არა, ცოტა კი შინ მოვიხარჯიანე, ძალიან გვიჭირდა... მაინც იმას იმ გულმკვდრიშვილს ნება არა ჰქონდა, რომ მე მცემო...

მწერ. ეგ გაგლანძღა, როგორცა ჰათქვი... რომდისღა გცემო?

დედა. მაშინვე, გენაცვა, შვალო, მაშინვე... თანა მლანძღამდა, თანა მცემდა... დამიჭირა მკლავი, მომიჭირა ხელი და სულ ისე მალრიალა, როგორც ძროხა, უკაცრავლი პასუხი კია, ვთქვი და გავათავე...

მამას. რითა გცემდა?

დედ. ხან სახრითა... ხან მუჭითა, ხან ქვითა... რითაც მოხედებოდა, სულ მე მიბრახუნებდა მოძულეებულ დიმიბლიბიტოსავით... (შემოდის გზინი, მოსდევს ცაბაკა, მაღალი, წვრილი მოხდენილი ტანისა, ახალგაზრდა, მშრამკელი ბაჭია)

## გამოსვლა მეცხრე

ივინივე, გზარა და ტახატა

გზარი. აი მოვიყვანე... ესეც ზევით მოდიოდა... მე უნდა მეჩივლა და იმას მოუსწვრიაო. .

დედ. აბა, შენ გენაცვალე, მამასახლისო, აბა, აი ის გულმკვდრიშვილი, ეგ არ-სასიცოცხლო... ერთი კარგები მაყოლე მაგას..

მამას. (შკაფრათ) შენ შენთვი ეგდე, რა შენი ჰწავლება მინდა.. ე, შენ რატო ისე თავ მიჰღიხარ და აღარავისი პატრიციემა აღარა გაქ, შე ძალლი წიწილო შენა!. იქნება დაგავიწყდა, რო აქ მამასახლისია? მე შენ მოვაგონებ..

ტახატა. რათა, მამასახლისო, რა დავაშავე? მე უნდა მეჩივლა მაგითვი და ეგ მიჩივის? მაგან ღვინო გამოყდა, ფულიც სულ შამიქამა და კიდევ მე მიჩივის!.. აბა შე ქოფაქო, შენა! შენ განა იღამიანი ხარ... ქაჯი ხარ, ქაჯი!..

მამას. შენ როგორა ჰბედამ, ჰა, რო ეგრე ეკიდები შენ სიდედრსა, შე მურდალო, შე სალახანავ, არა გრცხვენიან!..

დედ. სირცხვილი კი იცის მაგან რა ხილია.. გაუგონია კი!

ტახ. შე უღმერთოვ, ფული შენ შაჰქამე და უსვინდისო მე ვარ? აი გაგიქრა შენ ქოქი აბა! მერე, მამასახლისო ი ღვინო იმიტო მქონდა შანახული, რო გაეყიდდი, უნდა „სახემწიფო“ მამეშორებინა... ეხლა...

მამას. ჩუმათ, შე არამზადავ! ეხლა კაი მიზეზებსაც კი იგონებ და როცა მან ღილოსანსა ჰკემლო, რატო მაშინ არა ჰფიქრობდი!

ტაბ. (გაოცებულად) რას ამოუ, კაცო, როდისა ვცემე, ხელი კი მიხლია! კარქები კი უთხარი, მაგრა, ღმერთი, რჯული, მე მაგითვი ხელი არ მიხლია..

დედ. არა და არა, ეხლა უარსაც იტყვის..

მამასახ. აჰაი, შე ძაღლო და მამაძაღლო, შენ აქ ტყუილებსაცა ჰბედავ? (ჩამოვა და თრიალეს კედელ წაყოფებს) მე შენ გაჰწავლი ოინებსა და უსამართლობას ვინ ეწევა... თუ უსამართლო ვარ, ეხლავე დაკიმტკიცეფ... გზირო, წაიყვებ ეხლავე და გომში დაამწყვდიე ეს ორი ღლით... მალე.. მაგრა დაკეტე კი, არ გამოვიდეს, თორე ვაი შენი ბრალი მაშინ...

ტაბაკა. მამასახლისო, წმინდა გიორგის მადლმა, ზიარება არ გამიწყრეს, მე ხელი არ მიხლია.. დახე მაგასა, როვო მაჯობა.. ვაჰი.. (გულში ხელს იტყის; გზინს გაჭყავს)

მამას. წადი ეხლა და ილაპარაკე, უსამართლობას ჰზადის, თქო.. (დედაკაცს) დაგიმწყვდიე შენი გამაბოროტებელი, თუ ვერა...

დედ. უი, შენ გაგამრავლოს და გაგაძლიეროს ზეციერმა მამა გამჩენმა; მუდაჲ ეგეთი სამართლიანი გზით გატაროს უფალმა ჩვენმა იესო მაცხოვარმა, წმინდა ნათლი მცემელმა და სამება ერთსახებამა... მადლობელი ვარ, შენ გენაცვალე, არ დაიფიწყებ შენ სიყვთეს, რითაც შემეძლება, გადავიხდი..

მამას. ტყუილათ იხარჯები, შენი გადახდა საჭარო არ არი. (გარეთ მიდის, მოსამართლებს) მე ისევ მალე შემოვბრუნდები. (გადის. დედაკაცი გამობრუნდება, უნდა წავიდეს, მაგრამ წინ ლაფიურა დაუხვდება და დაუყენებს)

ბეჭდ. კაწო, პატონო მოსამართლეებო, ე ჩვენი საკმე რატ ტავარქინეთ... ისევ კაარქაეტ ტა! ამ ტაკუპილმა ტეტაკაწმა ტაკვიშალა...

გიორგი. ჰო, შეილო და ძმაო, ჩემი ორი მანათი ცამაცეს და თავისი წაილოს... (ბერძენას ჩუმათ) შენ რო შარშან მაწვალე, ახლა მე მიყურე... (ჩუმათ ღაზარაკობენ)

ღაფ. რათა ხარ, დედაკაცო, ჯიუტი? ნუ მიყურებ ეგრე?

დედ. მა როგორა გნებამს, რო გიყურებდე, აბა მიბძანე?...

ღაფ. ცოტა მოწყალე თვალით უნდა გადმოხედო, რო გულზე მიამოს ხოლმე, და!..

დედ. ხმა ჩაწყვიტე, შე ბედკრულო, თორე გაგათავებ ემ საათში... ვის უბედამს ეს შეჩვენებული?..

ღაფ. ნუ ჰცხარობ, დედაკაცო, მალე დაჰბერდები... შენ მე რასაც გეტყვი, ის გამიგონე... მოდი ეხლა-ერთი მაკოცნიე და მერე...

დედ. (გაწიწმტებუდი) რაო? უი დამიდგეს თვალე-ბი!.. ეგ რა ჰთქვი, შე მეც დასაკრაო? ეგ რა სთქვი, შე ძაღლო მამაძაღლო... აბა თუ ეგრეა და მე შენ გაჰწავლი, ვიჭთანა გაქ საქმე... (უნდა იზოფას რამე, რამ დაჰჭრას, მაგრამ ჯერ ვერა უზოფია რა)

ღაფ. ნუ ჰცხაროფ, გამიგონე მეთქი...

დედაკ. ამოგიწყდათ თქვენ ოჯახი, კაი ხალხი თქვენა ხართ აბა... თქვე ქალაჩუნებო (ჯოხს გამოგლეჯავს ბერძენას) აბა, თუ თქვენ ვერა, მე ვაჩვენებ ამ გარყვნილ სალახანას, როგო უნდა პასუხის მიცემა... (მოუბრუნდება ღაფიერას, თრიოდეს მიაყოლებს, მერე ღაფიერა გაეჭეცა უვირილით მისამართლებსაკენ. დედაკაცი უკან მისდევს და იქაც ერთს შემოჭკრავს, მაგრამ ღაფიერას მიგვიერ მეორე მისამართდეს მიჭსუნდება)

მეორე. ოოო, აი ამოგიწყდათ თქვენ, აცა დაიცა,

ოჯახი აჰა?.. მე რათა მცემ, აცა დაიცა, შე ოხერო და მუდრეგო!

ზირგ. ძლივ ხმა არ ამოგაღებინეს, ყოჩაღ, მეღა-  
ჩემა ღმერთმა... (დანარჩენები იტინიან. მოსამართლეები დაი-  
წეებენ ჯავრბასს, რომ ასე აურიეს იქაურბას)

მეს. ჩვენ აქ ველარა გვხედამთ, თუ როგოა, ჰა?..

მეორე. აცა დაიცა, კაცო, თქვენ ეყ, გაიგონეთ...

ზირგ. გაეთრიეთ აქედან, თორე... (ლაფიერა ახლას  
ბერძენას გვერდით გაიფლის, დედაკაცი შეცდამით ერთს  
იბას გაარტყამს, უველანი აირეფიან, მოსამართლეებიც ადგებიან)

ბერძ. შე ტასაპრუწიანებელო, მე რა ტაკიშავე... აი  
შენ კი კაკიხმა ხელები და მოკუტდეს კისერი.. (ლაფიერა  
გარეთ გაიქცევა უფრილით: „გიორგაჲ, წამო, ბიჭო, მიშვე-  
ლე“... დედაკაცი უკან მისდევს ჯოხით; დანარჩენები იტინიან  
მეორე მოსამართ. და ბერძენას გარდა)

გიორგა. მოვდივარ, შვილო და ძმაო, მოვდივარ,  
სდელაიმ ვიბილუ... კამპანიავ წავიდეთ... (მიდის)

ზირგ. თქვენი საქმე, ბერძენავ, მერე გავარჩიოთ,  
თორე, ხო ჰნახე, ი დალუბილმა დედაკაცმა აგვრია...  
აბა ეხლა რაღა გაეწყობა...

ბერძ. მერე... სულ მერე!! როდისღა?..

## ფ ა რ დ ა

### ს ა ხ ე ლ ს ა წ ე ა :

საწერ-კალამი, დავთრები და ქალაღი (მაგიდაზე  
აწევა); ბეჭდებო (მოსამართლეებს); უბრალო ჩიბუხი (მე-  
ორე მოსამართლეს); შევერცხლილი ჩიბუხი და გძელი  
სახრე (გზიანს); მენდალი (მამასახლის გულზე) და ქალაღ-  
დები (მასვე ხელში); ყავარჯენი (ბერძენას); თამასუქი და  
პორტმანი—შიგ ორი აბაზით (ხიდურას).

### მამუტაძის ნადირობა

გათენდა კალანდა დილა; ღმერთმა ყველას გაგიტენოს მომავალი ახალი წელიწადი და ნათლის ღება. შემოუსხედით სუფრას: მე, ივანიკა, გოგიელა, მახარბელა, ვახუშტელა, სერაფიომ, კვიროსი და შევექცეოდით ღვთის მოცემულს, ღვინოს! კაი დაგეშართოს, კაი ღვინო იცოდეს ჩვენში, გურიაში... გავაჩინეთ საღლეგრძელოები, დავატრიაღეთ ყანწები... ამ დროს მომივიდა მამუტაძის გამოგზავნილი კაცი, შემოეთვალა: ჩემო კვირიკელო, წუხელი მოთუაეო და ხვალ დილას სანადიროთ წვედიეთ, მე რომ დიდი ნადირი გითხარო, იმისთვის... წამოიყვანე ვინც შენ გინდოდესო... ინათა თუ არა, წამოვარდი ზეზე, დევიწერე პირჯვარი, ვახსენე ღმერთი, დოუძახე კესარიას, გადავიკიდე ზინთაი, ჩავდევნი შით დიდი კვერი, ერთი ნაჭერი ყველი. დოუძახე ჩემს ძაღლს, აპა, პაპ; პა მურია, პა, მურია, აა, აპა, აა, აპა... ჩემოვიღე ჩემი გძელი მაჭახელა, გადეთუსვი ხელი კესარიას და გეუღეჭი... გაუარე: ივანიკას, გოგიელას, მახარბელას, ვახუშტელას, სერაფიომს, პაპუნის, კვიროსის. წამოიდეს ზოგმა ყველი, ზოგმა შაშხი, ზოგმა ქაღი, ზოგმა ფხალი... გადიკიდეს: ყარაფინა, მაჭახელა, ფილითი და ფიშტო... დაუძახეს: გიშერას, ყურშავას, ტურიას, წუნკალას, ყელთეთრას. დევიწერეთ პიჯვარი, ვახსენეთ ჩვენი მუარველი ანგელოზი და მივაღეჭით მამუტაძის დიდს ეზოს. გამობრძანდა მამუტაძე, ყველას სალამი მოგვცა, მოგვილოცა ახალი წელიწადი, ახსენა

ჯუმათის მონასტრის წმ. იაკინთეს მადლი და გოუდქით გზას. მივედით ჯოჯოხეთაის ტყის პირზე. ნელის პირით თოვს, ჩვეისაფრედ ზოგმა სად და ზოგმა სად... აუშვით ძაღლები. არ გასულა ხუთი წუთი, რომ შეიქნა: ფაცი-ფუცი, ფაჩი-ფუჩი, ფხიკინ-ფხიკინი, სლიპინ-სლიპინი, შლიპინ-შლიპინი, ხრიალ-ხრიალი, გრიალ-გრიალი, ღრი-გინ-ღრიგინი, ხრიგინ-ხრიგინი... მოდის მარა რა მოდის? მოაქვს: ხე-შიწა, მთა-ბარი, ეწერი-ზეგანი... ისკუბა და გადახტა, შეტრიალ-შემოტრიალდა... ახლა არ მეტყვიოთ რა ფერის იყოო?... ფერი! ფერის: წითელი, ყვითელი, მიხაკის ფერი, იაგუნდის წინწყლებიანი, ნაცრის ფერ-ხაზიანი, მოშავ-მწვანო ზოლიანი... დაებღრინჯა პირის სახე, დაეშტიმა თვალები ოჩხამურის ჭინკასავით, ეებურძვლა ბალანი, მთრალი სალდათის შტიკივით...

— „არიქა, ბიჭებო, თუ ვარგხართო! შეგვიძახა მაქუტაძემ და ეცა, — ეცა, დასცა... მივარდა ივანიკა, გაპკრა კიმკიმაში და გედისროლა დაღმართისკენ, მიეშველა გოგიელაი, უქნა მეგორდიე მასაც და კინალამ კისერი მოატეხია... ეცნენ: მახარბელაი, სერაფიომ, პაპუნაი და კვიროსი, მაგრამ თქვენც არ მომიკდეთ, სუყველა სათი-ოაოდ ქვეშ აშლიდო. არიქა, ბიჭო, კვირიკავ, თუ ვარგხარ მეთქი, გვეივლე გულში და მივვარდი. მივვარდი— მომვარდა, ვეცი— მეცა, დავსცი— დამცა, გადავატრიალე— გადმომატრიალა, უზურგულე— მიზურგულა, შევითრიე— შემითრია, გადავაგდე— გადმომავდო, წავაქციე— წამაქცია, უქენი განური... და დავასკუპტი კისერზე, გამოუსვი ჩემი ყამა და გადავალურსვიე თვალები. აწი ბატონო, და ავკუწეთ— დავკუწეთ, ავჩარჩეთ— დავჩარჩეთ, გვეიყავით— გამოვიყავით, გვეირიგეთ— გამოვიირიგეთ, გვეიწიწილაკეთ— გამოვიწიწილაკეთ, გადავაწყვეთ— გადმოვაწ-

ყვეთ და რა გვერგო: ბარკალი და ჩალოღარჯი მაქუტა-  
 ძეს, კიმკიმი და საფეთქელი მე და თავ-ფეხი ჩემს კნენა  
 კესარეას.

### გუნდა-ლახუსტაკი

ეპრაქსია, ეპრაქსია, ეპრაქსია, გოგო?.. გოგოო!.  
 შენ ქალბატონს მოახსენე: შენი ჭირიმე თქვა, შენ გე-  
 ნაცვალე თქვა, შენი უფროსი ქალის ბედნიერებას მო-  
 გასწრებს ღმერთი თქვა, მის ქორწილზე დიდს მოლხენას  
 განახვებს შენი სალოცავი ღვთის მშობელი თქვა, რაც-  
 ხაფერათ თქვა, არ გამაწბილო თქვა და შენი გუნდა-  
 ლახუსტაკი მათხოვე თავის ამოსაღესავი ქვით და წა-  
 საცხები წინდის ჩხირით თქვა. მაგიორში თქვა, როცა ჩე-  
 მი რძალი შეიღს მოიგებს თქვა და მისი ნათლია ძრო-  
 ხას დაანათლის თქვა, რომ მოვწველ და ჭაჭუტას ამო-  
 ვიღებ, შენ გამოგიგზავნი პირველს თქვა.

— უი, ბეჩა. შენ არ მომიკვტე და ჩემი შეიღების  
 ბედნიერებას ნუ მომასწროს ჩემმა სასო ღვთის მშო-  
 ბელმა, თუ ჩემი გუნდა-ლახუსტაკი თავის ამასაღესავი  
 ქვით და წასაცხები წინდის ჩხირით სახლში მქონდესო.  
 — აგერ წვილო ყურის მეზობელმა ნატალიამოო?..

გ. ურუშაძე.